ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ზაალ მამალაძეს

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის

ირაკლი კუჭავას

განმარტებითი ბარათი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოგიდგენთ პროექტს „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბერის №53 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე და განვმარტავთ შემდეგს:

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 15 თებერვლის N405 განკარგულებით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის N136 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 17,8 ლარი. აღნიშნული თანხა მიიმართება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში კოსტავას ქუჩაზე სასწრაფო დახმარების ცენტრის შენობის მშენებლობის მეორე ეტაპისათვის. ასევე გაიზრდება ადგილობრივი შემოსავლების გეგმა (რენტა) 1,0 ათასით და თანხა მიიმართება აღნიშნული განკარგულების თანადაფინანსებისათვის

2018 წელში ა(ა)იპ დაწესებულებების რეორგანიზაციის შედეგად განხორციელდა:

ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის, ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლის, ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის გაერთიანება, რეორგანიზაციის შედეგად შეიქმნა ა(ა)იპ **ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება - (პროგრამული კოდი - 05 02 09)** აქედან გამომდინარე შემცირდება დასახელებული ორგანიზაციების დარჩენილი სუბსიდირება 231.4 ათასით და მიიმართება ა(ა)იპ სახელოვნებო სკოლების სუბსიდირებაზე.

ა(ა)იპ საბიბლიოთეკო გაერთიანების, ა(ა)იპ სამუზეუმო გაერთიანების და ა(ა)იპ თანამედროვე სახვითი ხელოვნების გალერიის გაერთიანების შედეგად შეიქმნა ა(ა)იპ **ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმარული განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი - (პროგრამული კოდი 05 02 10)**

გამომდინარე აქედა შემცირდება აღნიშნული ორგანიზაციების დარჩენილი სუბსიდირება 236.6 ათასით და მიიმართება ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმარული განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრის სუბსიდირებაზე.

ა(ა)იპ სპორტის განვითარების ცენტრის, ა(ა)იპ სასპორტო სკოლის გაერთიანების შედეგად შეიქმნა **ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 05)** რის შედეგადაც შემცირდება აღნიშნული ორგანიზაციების დარჩენილი სუბსიდირება 250,1 ათასით და მიიმართება ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრის სუბსიდირებაზე.

აღნიშნულის შედეგად 2018 წლის ბიუჯეტის მოცულობა გახდება 9297,6 ათასი ლარი.

თან წარმოგიდგენთ დადგენილების პროექტს თანდართული დანართების შესაბამისად.

პატივისცემით,

მუნიციპალიტეტის გამგებელი: ირაკლი კუჭავა

განკარგულება

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N53 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე” ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[1] თანახმად

საკრებულომ დაადგინა:

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N53 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე” ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად.

2. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N53 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე” ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[2] მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4-ში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტის ავტორი: **მ. გოგოლაძე**

დასკვნა

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბერის №53 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

დადგენილების შესახებ

დადგენილების პროექტი „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N53 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტთან, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება მუნიციპალიტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა.

დადგენილების პროექტი, ასევე, შესაბამისობაშია „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის N136 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 15 თებერვლის N405 განკარგულებასთან და „ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტთან, რომლის თანახმადაც ნორმატიულ აქტში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ხდება იმავე სახის ნორმატიული აქტით. იგი იმ ნორმატიული აქტის განუყოფელი ნაწილია, რომელშიც შეტანილი იქნა ცვლილება.

ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული

განყოფილების უფროსი : ზ. ბექა შენგელია

პროექტი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის №53 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა" ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" მე-80 მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის №53 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 04/01/2018; ს/კ 190020020.35.114.016379) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

დადგენილებით დამტკიცებული დანართის პირველი, მე-2,მე-3,მე-4,მე-5,მე-6, მე-7, მე-8, მე-9, მე-10, მე-11, მე-12, მე-13 და მე-14 მუხლები ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პროექტი მოამზადა: *მ.გოგოლაძე*